ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ა(ა)იპ „რაჭის ახალგაზრდული ასამბლეასა“ და ონის მუნიციპალიტეტის მერიას შორის

წინამდებარე მემორანდუმის მხარეები არიან:

ააიპ „რაჭის ახალგაზრდული ასამბლეა“, (მისამართი: ამბროლაური, კოსტავას ქ. #39; ს/კ 422990641; ტელ: +995 598 91 30 89; ელ.ფოსტა: rachayouthassembly@gmail.com;) წარმომადგენელი, მისი პრეზიდენტის თამარი ხომასურიძის, პ/ნ 34001008877, სახით

და

ქ. ონის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში „მერია“ მისამართი: ქ.ონი, დ.აღმაშენებლის ქ#40, ს/კ:237978275, ელ.ფოსტა:onismeria@gmail.com) წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის - სერგო ხიდეშელის სახით,

ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები“, გამოხატავენ რა ურთიერთ-თანამშრომლობის სურვილს და ერთმანეთის მიმართ პატივისცემას, საკუთარი უფლებამოსილებისა და შესაძლებლობის ფარგლებში თანხმდებიან შემდეგზე:

1. მემორანდუმის საგანი და მიზანი

1.1. წინამდებარე მემორანდუმით მხარეები გამოთქვამენ სურვილსა და მზადყოფნას წარმართონ შესაბამისი საქმიანობა (შემდგომში ~საქმიანობა~) ურთიერთთანამშრომლობისა და ერთმანეთისადმი ხელშეწყობის, კოლეგიალობის, ურთიერთპატივისცემისა და მხარდაჭერის პრინციპებზე.

1.2 წინამდებარე მემორანდუმის შედგენის მიზანს წარმოადგენს (ურთიერთთანმშრომლობის მიზანი და ამოცანები)

- მიზანი - რაჭის ახალგაზრდული ასამბლეისა და მერიის უფლებამოსილების ფარგლებში, ერთობლივი საქმიანობის, პროექტებისა და აქტივობების განხორციელების ხელშეწყობა.
- ამოცანა 1 - ახალგაზრდული პოლიტიკისა და ახალგაზრდული საქმიანობის განვითარება.

- ამოცანა 2 - თვითმმართველობის განხორციელების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა.

1.3. წინამდებარე მემორანდუმით მხარეები იღებენ ვალდებულებას მემორანდუმის მოქმედების ვადაში დაიცვან მემორანდუმით გათვალისწინებული პირობები.

1.4 მემორანდუმის მხარეები იღებენ ვალდებულებას კეთილსინდისიერად და პარტნიორულ ურთიერთობებზე დაყრდნობით განახორციელონ ქმედებები, რომელიც მიმართულია მემორანდუმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.

2. მხარეთა შეთანხმებები

2.1 რაჭის ახალგაზრდული ასამბლეა უზრუნველყოფს

- ონის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების მობილიზებას;
- ახალგაზრდების აქტიურობის გაზრდის მიზნით სხვადასხვა პროექტების განხორციელებას ონის მუნიციპალიტეტში;
- ახლაგაზრდების საჭიროებათა კვლევის ჩატარებას;
- მუნიციპალური ახალგაზრდული დოკუმენტის მუშაობასა და განხორციელებაში მხარდაჭერას;
- მერიის ახალგაზრდული ღონისძიებების განხორციელებაში ხელშეწყობას;
- მერიისთვის ერთობლივი პროექტების შეთავაზებას;

2.2 მერია იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს:

- მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენელთა აქტიური მონაწილეობა მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარებაში;
- ასამბლეის მიერ ორგანიზებული პროექტების ხელშეწყობას;
- ახალგაზრდებთან აქტიურ თანამშრომლობას (ონის მერის ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოსთან შეთანხმებისამებრ თანამშრომლობას);
- მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელება.

2.3 მხარეები ყოველმხრივ შეუწყობენ ხელს თანასწორუფლებისნი თანამშრომლობის განვითარებას და შეასრულებელ ამ მემორადუმით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობებს.

3. მხარეთა ზოგადი ურთიერთვალდებულებები

3.1 წინამდებარე მემორანდუმის მხარეების ურთიერთობა არ ნიშნავს რაიმე ასოციაციის, კავშირის ან გაერთიანების შექმნას. არცერთ მხარეს არა აქვს უფლება იმოქმედოს მესამე პირთან მეორე მხარის სახელით;

3.2 კონკრეტული პროექტების შესასრულებლად, მხარეები დადებენ ცალკეულ ხელშეკრულებებს;

3.3 მოცემული მემორანდუმის მხარეები ვალდებულნი არიან შეასრულონ მემორანდუმის პირობები კეთილსინდისიერებისა და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე, წარმართონ თავიანთი საქმიანობა თანამშრომლობისა და კოორდინაციის პრინციპებზე და შეუთანხმონ ერთმანეთს ნებისმიერი ნაბიჯი, რომელიც შეიძლება შეეხოს სხვა მხარის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს და ამ მემორანდუმით გათვალისწინებულ მიზნებსა და შეთანხმებებს.

4. მემორანდუმის მოქმედების ვადა

4.1 წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის მომენტიდან. ურთიერთგაგების მემორანდუმი არის ნებაყოფლობითი და შეიძლება შეიცვალოს ან შეწყდეს ორივე ხელმომწერი მხარის წერილობითი ურთიერთშეთანხმებით.

4.2 მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე მემორანდუმი, თუ სხვა მხარე მასთან მიმართებით არღვევს მემორანდუმის პირობებს, ადგილი აქვს არაკეთილსინდისიერ ქმედებას ან დამრღვევი მხარის ქმედება არ შეესაბამება წინამდებარე მემორანდუმში მხარეთა მიერ გაცხადებულ მიზნებს.

5. სხვა პირობები

5.1. მემორანდუმი არ შეიცავს რაიმე დამატებით წერილობით ან სიტყვიერ შეთანხმებას და იგი შედგენილია ქართულ ენაზე 2 (ორი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლიარად.

5.2. ამ მემორანდუმით ნაკისრი ზოგადი ვალდებულებების შესრულების მიზნით მხარეები უფლებამოსილნი არიან შექმნან დამატებითი სამუშაო ჯგუფები და გამოყონ საკუთარი წარმომადგენლები.

5.3 მხარეები ადასტურებენ რომ წინამდებარე მემორანდუმის ხელმოწერის მომენტისთვის ისინი სრულად გაეცნენ მემორანდუმის ტექსტს და სრულად ეთანხმებიან მასში მითითებულ ინფორმაციას, გაწერილ უფლებებსა და

ვალდებულებებს და წინამდებარე მემორანდუმს ანიჭებენ ისეთივე იურიდიულ ძალას, როგორც ნებისმიერ სხვა ხელშეკრულებას, რომელიც დადებულია მხარეთა მრავალმხრივი თავისუფალი ნების გამოვლენით.

5.4 წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული ხელშეკრულებები, მემორანდუმის მიზნებისთვის განიხილება, როგორც ურთიერთკავშირში მყოფი ხელშეკრულებები და არეგულირებენ ურთიერთდაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს. ერთ-ერთი მათგანის შეწყვეტა შესაძლოა გახდეს მეორის შეწყვეტის საფუძველი.

6. მხარეთა ხემოწერები

ააიპ „რაჭის ახალგაზრდული ასამბლეა“	ონის მუნიციპალიტეტის მერია
ს.კ.: 422990641	ს.კ:237978275
	ხელმომწერი პირის თანამდებობა:
პრეზიდენტი:	ონის მუნიციპაიტეტის მერი:
თამარი ხომასურიძე	სერგო ხიდეშელი
_____	_____
თარიღი:	თარიღი